შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. **ზოგადი დებულება - რეგულირების სფერო**

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ პანაცეას (შემდგომში კოლეჯი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი არეგულირებს კოლეჯის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურებს.
2. წინამდებარე წესით განისაზღვრება მხოლოდ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისა და შერჩევის პროცედურები, რომლის განხორციელების უფლებაც კოლეჯს მოპოვებული აქვს ავტორიზაციის გზით:
   ა) საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;
   ბ) საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე,
   გ) უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
3. წესის მიზანია, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური, გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება კოლეჯში ხდება „პროფესიული განათლებისშესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების", თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის მოთხოვნათა დაცვით, აგრეთვე წინამდებარე წესის შესაბამისად და კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების საფუძველზე.
5. ამ წესის მე-7 მუხლის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების გათვალისწინებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შერჩევის ფორმა, განხორციელების პროცედურები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელშიც აისახება შერჩევის ვადა და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვის ვალდებულება, შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმები, შეფასების მეთოდები და ეტაპები, შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების, აპელაციის ვადები, საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფა და სხვა.
6. შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 (ორ) სამუშაო დღის ვადაში სარეგისტრაციო სისტემაში კოლეჯისთვის ხელმისაწვდომი ხდება აპლიკანტთა რეიტინგული სიები.
7. რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.
8. აპლიკანტისთვის, ინფორმაცია რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, მისი რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ხელმისაწვდომი ხდება ამ წესის პირველი მუხლის მე- 6, მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
9. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ ხელმისაწვდომობის შემდეგ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის (შემდგომ – მინისტრი) მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უნდა აირჩიოს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან მხოლოდ ერთ-ერთი, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში ჩარიცხვისათვის წარადგინოს კოლეჯის მიერ შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული დოკუმენტები.

მუხლი 2. დაინტერესებულ პირთა კონსულტირება/პროფორიენტაცია

1. კოლეჯი, დაინტერესებულ პირებს მომართვის შემთხვევაში აცნობს:

ა) პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს, დაინტერესებული პირების ინტერესების გათვალისწინებით;

ბ) კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და შერჩევის თავისებურებებს;

გ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებს და საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება რეგისტრაციაში;

დ) კოლეჯის საგანამანათლებლო სერვისებს, პროგრამის სხვა თავისებურებებს (მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სწავლის გაგრძელების, დასაქმების შესაძლებლობებს, სწავლის ხანგძლივობას და ინტენსივობას, პროგრამის შინაარსს, პროგრამის განხორციელების ფორმას, დაფინანსების შესაძლებლობებს, ასევე კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებს, სწავლის პროცესში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექნიზმებს და სხვა მახასიათებლებს).

2. კოლეჯში დაინტერესებული პირების (აპლიკანტების/პროფესიული სტუდენტების/ მათი წარმომადგენლების და ა.შ.) კონსულტირება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.

3. კონსულტაციას ახორციელებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური. დაინტერესების შინაარსიდან გამომდინარე, კონსულტირების პროცესში შეიძლება ჩართული იყოს კოლეჯის სხვა სამსახურის წარმომადგენლები.

4. დაინტერესებული პირის კონსულტირება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საკომუნიკაციო ქსელების გამოყენებით, უშუალოდ კოლეჯში ან/და დისტანციური ფორმით.

5. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისთვის დაუშვებელია საფასურის დადგენა.

მუხლი 3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

1. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;

ბ)აპლიკანტთა რეგისტრაცია;

გ)შერჩევა;

დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა;

ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 4. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრა

1. მისაღები პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

მუხლი 5. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება

1. კოლეჯი კვოტით მინიჭებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით, კოლეჯის ადმინისტრაციულ საბჭოზე საკითხის განხილვის შედეგად, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების შესახებ, რაც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით კოლეჯი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.
3. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი ავსებს ანკეტა-კითხვარს ელექტრონულად.
4. ანკეტა-კითხვარი წარმოადგენს კოლეჯის მიერ მიღების გამოცხადების მიზნით შექმნილ მოდულს, რომელშიც აისახება ინფორმაცია კოლეჯის, მისი პროგრამების, მისაღები ადგილებისა და სხვა პირობების შესახებ. ანკეტა -კითხვარი არის აპლიკანტთა რეგისტრაციის მიზნით შექმნილი სარეგისტრაციო სისტემის ინფორმაციის წყარო. ანკეტა-კითხვარის ფორმა მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.
5. დაინტერესებული პირებისთვის, მიღების შესახებ ინფორმაცია, კოლეჯში ჩარიცხვის წესი თავსდება ვებ-გვერდზე www.panacea.edu.ge.

მუხლი 6. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში www.vet.emis.geდა რეგისტრირდება აპლიკანტად.
2. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში.
3. აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 (სამი) სასურველი პროგრამა.
4. აქტიური პროფესიული სტუდენტის სტატუსის მქონე პირს შეზღუდული აქვს პროგრამაზე რეგისტრაციის უფლება, გარდა სწავლის დაწყების დროისთვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტისა.
5. არჩევანის ცვლილების უფლება აქვს მხოლოდ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.
6. სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
7. მომართვის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია დაეხმაროს აპლიკანტს რეგისტრაციაში.
8. რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტასა და მობილური ტელეფონის ნომერზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.
9. თითოეულ აპლიკანტზე, რომელიც დარეგისტრირდა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლოპროგრამაზე ან/და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, რომელზეც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, სარეგისტრაციო სისტემაში გენერირდება საგამოცდო ბარათი.

10. აპლიკანტთა რეგისტრაციის, შერჩევის პერიოდი და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.
11. კოლეჯი, მინისტრის მიერ განსაზღვრულ შერჩევის ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

მუხლი 7. აპლიკანტთა შერჩევის ფორმები

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.
2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.
3. კოლეჯში საბაზო, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა/შეფასება ხორციელდება კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირების ან/და მოტივაციური გასაუბრების საფუძველზე, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი/თარიღები, ჩასაბარებელი ტესტების საგამოცდო პროგრამა მტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით. პროცედურები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების" შესაბამისად.

4.[1]. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აპლიკანტისთვის აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიურ უნარებში.

4.[2]. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს ტესტირების, დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. კოლეჯი უფლებამოსილია, მხოლოდ ადმინისტრაციული საბჭოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შიდა შერჩევის დამატებითი მექანიზმები უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე ან/და საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელზეც მიღება დაწესებულების შეფასებასთან ერთად ითვალისწინებს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებასაც. ამ შემთხვევაში კოლეჯი გამოიყენებს ამ წესით განსაზღვრულ შერჩევის მეთოდებს/ფორმებს.

5.[1]. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი. იმ შემთხვევში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს კარგავს ჩარიცხვის უფლებას.

6. კოლეჯის დირექტორი ბრძანებით, შიდა შერჩევის ეტაპის დაწყებამდე დიფერენცირებული შეფასებისთვის, განსაზღვრავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის.
7. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.
8. შერჩევა შესაძლებელია განახორციელდეს ასევე ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე). ასეთი აპლიკანტების პროფესიულ პროგრამაზე დარეგისტრირების შემთხვევაში კოლეჯს შეუძლია შერჩევისთვის მოიწვიოს შესაბამისი ენის მცოდნე თარჯიმანი.

9. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას, თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას, გარდა ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
10. თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

მუხლი 8. შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის ინფორმირება

1. კოლეჯში თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის აპლიკანტთა შიდა შერჩევის ფორმა, შეფასების თარიღები და დრო განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინიტრაციული-სამართლებრივი აქტით, შერჩევის პერიოდის გათვალისწინებით.აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში თითოეული აპლიკანტის ველში და განთავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.panacea.edu.ge, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.
2. აპლიკანტები შერჩევის ფორმის, შეფასების თარიღების დროის შესახებ ინფორმაციას მიიღებენ სატელეფონო შეტყობინებით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, შეფასების პროცესამდე 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.
3. აპლიკანტებს შერჩევის პირობების შესახებ დეტალური/საჭირო ინფორმაცია მიეწოდებათ შერჩევის დღეს, შერჩევის დაწყებამდე.
4. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ან გარკვეული გარემოებების მიხედვით ამ წესის 2.61 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი).
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე.

მუხლი 9. შიდა შერჩევისთვის ოთახის მოწყობა

1. კოლეჯი უზრუნველყოფს მოტივაციური გასაუბრებისთვის, ტესტირებისთვის შესაბამისი სივრცის - ოთახის შერჩევას და მოწყობას.
2. შეფასების დღეს, აპლიკანტების მოტივაციური გასაუბრების ან ტესტირების დაწყებამდე პასუხისმგებელი პირების მიერ მოწმდება:
   ა)კომისიის წევრებისთვის და აპლიკანტებისთვის განკუთვნილი სივრცე, შესაბამის პირთა რაოდენობის ადგილების გათვალისწინებით;
   ბ) კომპიუტერული ტექნიკისა ინტერნეტის მუშაობა;
   გ) შიდა სივრცის უსაფრთხოება/სანიტარული მდგომარეობა.
3. შიდა ტესტირების შემთხვევაში, კედლებიდან უნდა ჩამოიხსნას ყველა ის თვალსაჩინოება, რაც შეიძლება შეიცავდეს აპლიკანტისთვის სასარგებლო ინფორმაციას კითხვებზე სწორი პასუხების გასაცემად,აგრეთვე მოწმდება ოთახში საათის არსებობა, მისი გამართული მუშაობა და ხილვადობა ყველა მხრიდან.

მუხლი 10. მოტივაციური გასაუბრება

1. მოტივაციური გასაუბრების პროცედურა:

1.1. მოტივაციურ გასაუბრებაში მონაწილეობს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, სადაც შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია მოტივაციური გასაუბრება;

1.2. მოტივაციურ გასაუბრებას ატარებს შესარჩევი კომისია. შესარჩევი კომისიის შემადგენლობა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით;

1.2.[1]. კოლეჯის მიერ შიდა შესარჩევი და აპელაციის კომისიების ფორმირებისას, კოლეჯის წარმომადგენლებთან ერთად, სავალდებულოა შემადგენლობაში იყვნენ დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კომისიის მუშაობაში და გადაწყვეტილების მიღებაში.

1.3. შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში სატელეფონო ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

2. შიდა შერჩევის მოტივაციური გასაუბრების კომისიის ფორმირება:

2.1. შიდა შესარჩევი კომისია შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომლის შემადგენლობაში შედის:კომისიის თავმჯდომარე და წევრები. შერჩევის კომისიაში, გარდა კოლეჯის წარმომადგენლებისა,ჩართულნი უნდა იყვნენ პარტნიორი ორგანიზაციები.

2.2. შიდა შესარჩევი კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ;

2.3. კომისიის წევრი ვალდებულია გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ თუ ის:

ა) არის აპლიკანტის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი;

ბ) არსებობს სხვა გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

(შენიშვნა: ამ მიზნებისათვის, ოჯახის წევრად ითვლება: მეუღლე და შვილი/ნაშვილები, ხოლო ახლო ნათესავად: მშობელი/მშვილებელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, მინდობით აღსაზრდელი, მასთან მუდმივად მცხოვრები პირი, გერი, ყოფილი მეუღლე);

2.4. მოტივაციური გასაუბრებისას შესარჩევი კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით -ბრძანებით. კომისიის წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს აპლიკანტის შეფასებისაგან;

2.5. კომისიის წევრების მიერ მოტივაციური გასაუბრების დღესვე აპლიკანტთა შეფასება ასახული უნდა იყოს სსიპ-მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში -მართვის სისტემა) ელექტრონული ბაზის გამოყენებით ან გასაუბრების ფურცლის მეშვეობით, რაც დადასტურებული უნდა იქნეს კომისიის წევრების ხელმოწერით;

2.6. კომისიის წევრების შეფასებები ელექტრონულად იკრიბება და საშუალო არითმეტიკულის პრინციპით, აპლიკანტის საშუალო ჯამური ქულა მიიღება;

2.7.(ამოღებულია);

2.8.მოტივაციური გასაუბრების მიმდინარე პროცესის ჩაწერა შესაძლებელია განხორციელდეს კამერების მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. ადმინისტრატორი ინახავს გასაუბრების შედეგების ამსახველ დოკუმენტებს, ჩარიცხვის პროცესის დასრულებიდან სულ მცირე ერთი თვის განმავლობაში.

4. (ამოღებულია).

5. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამაზე მოტივაციური გასაუბრების შედეგები აისახება მართვის საინფორმაციო სისტემაში, სადაც ხდება მიღებული შედეგების გამოთვლა და პროგრამის ფარგლებში კოლეჯის მისაღები კვოტის შესაბამისად, რეიტინგული ქულების მიხედვით სიის შედგენა და აპლიკანტთა ინფორმირება ამ წესის 1-ლი მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების ვადების დაცვით.

6. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10[1]. მოტივაციური გასაუბრების ადმინისტრირება

1.კოლეჯის მიერ შიდა შერჩევის - მოტივაციური გასაუბრების (შემდგომში ინტერვიურების) პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, საჭიროების მიხედვით, კოლეჯის დირექტორი ბრძანებით ნიშნავს: შიდა შერჩევის ადმინისტრატორს, ინფორმაციული ტეგნოლოგიების სპეციალისტს და კოლეჯის მართვის საინფორმაციო სისტემის ადინისტრატორს (რეესტრის წარმოების მენეჯერი).

2.შიდა შერჩევის ადმინისტრატორს ევალება:

2.1. შერჩევის პროცესის ადმინისტრირებამდე ელექტრონულ ბაზაში გადაამოწმოს პროფესიულ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტები და შეჯერდეს საბოლოო სიაზე;

2.2. შერჩევის პროცესის ადმინისტრირებამდე დაუკავშირდეს პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტს და დარწმუნდეს, რომ ყველა მათგანი ინფორმირებულია შერჩევის თარიღების შესახებ;

2.3. შიდა შერჩევამდე ერთი დღით ადრე დაუკავშირდეს პროგრამაზე დარეგისტრირებულ ყველა აპლიკანტს და შეახსენოს მოტივაციურ გასაუბრებაზე გამოცხადების დრო, მისამართი და გასაუბრების ხანგრძლივობა;

2.4.(ამოღებული)

2.5. შერჩევის დაწყებამდე, გაარკვიოს ემთხვევა თუ არა აპლიკანტის შერჩევის დრო სხვა პროგრამის შერჩევის დროს, იმავე ან სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აპლიკანტის დადებითი პასუხის შემთხვევაში ინფორმაციის სიზუსტე გადაამოწმოს EMIS-თან, რათა გამოირიცხოს არასაპატიო მიზეზით მოტივაციურ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა;

2.6. დარეგისტრირებული აპლიკანტთა სიის მიხედვით გადაამოწმოს რომელი აპლიკანტი გამოცხადდა შერჩევაზე და რომელი - არა;

2.6.1. რეგისტრაციისას მოახდინოს აპლიკანტის იდენტიფიცირება წარდგენილი პირადობის, (ბინადრობის) მოწმობის/პასპორტის, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადის/განცხადება-ანკეტის საშუალებით.

2.6.2.აპლიკანტი, რომლის ვინაობაც ვერ დადასტურდება/არ ხდება მისი იდენტიფიცირება, არ დაიშვება შიდა შერჩევაზე.

2.7. დარწმუნდეს, რომ აპლიკანტებისა და კომისიის წევრებისთვის უზრუნველყოფილია მშვიდი და კომფორტული სამუშაო გარემო.

2.8. მოტივაციური გასაუბრების დაწყებამდე 30 წუთით ადრე მოიწვიოს კომისიის წევრები და გააცნოს შიდა შერჩევის - მოტივაციური გასაუბრების (ინტერვიუს) ფორმა /შეფასების ფორმა;

2.9. დეტალურად აუხსნას შეფასების სტრუქტურა და განუმარტოს, რომ წარმოდგენილი კითხვები სარეკომენდაციოა და არ უზღუდავს კომისიის წევრებს მისთვის სასურველი კითხვების დასმის უფლებას;

2.10. მოუწოდოს კომისიის წევრებს, გაეცნონ (ინტერვიუს) ფორმაში წარმოდგენილ კითხვებს და მონიშნონ ის კითხვები, რომლებსაც დაუსვამენ აპლიკანტებს. აპლიკანტების მოსვლამდე თან იქონიოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების სია. გადაამოწმოს აპლიკანტის მონაცემები და დარწმუნდეს, რომ შერჩევაზე მოსულია კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტირებული აპლიკანტი;

2.11.შერჩევის მიმდინარეობის პროცესში წაუძღვეს/მიუთითოს აპლიკანტს შიდა შერჩევის ოთახში და გასაუბრების დასრულების შემდეგ, გააცილოს კოლეჯის შენობიდან;

2.12. აცნობოს თარიღი აპლიკანტებს, როდესაც ცნობილი იქნება შერჩევის შედეგები.

3. შიდა შერჩევის ინფორმაციული ტეგნოლოგიების სპეციალსტს ევალება:

3.1. შერჩევის პროცესის ადმინისტრირებამდე შეამოწმოს კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტის ქსელი და მაქსიმალურად შეამციროს რისკები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ინტერნეტის შეზღუდულ მიწოდებასთან;

3.2. შერჩევის ადმინისტრირებამდე ინსტრუქცია გააცნოს კომისიის წევრებს და დარწმუნდეს, რომ კომისიის ყველა წევრმა იცის, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ელექტრონული პლატფორმა აპლიკანტთა შეფასების პროცესში;

3.3. ტექნიკური პრობლემის შემთხვევაში, დაუკავშირდეს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლებს და მათთან კომუნიკაციით აღმოფხვრას ყველა არსებული პრობლემა;

3.4. გასაუბრების დასრულებისას დარწმუნდეს, რომ კომისიის ყველა წევრმა სწორად შეინახა მონაცემები.

4.მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრატორს (კოლეჯის რეესტრის წარმოების მენეჯერი) ევალება გადაამოწმოს ინფორმაცია აპლიკანტების რეგისტრაციის შესახებ.

5. კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია შერჩევის პროცესის სპეციფიკიდან, სირთულიდან და აპლიკანტთა რაოდენობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში,შერჩევის პროცესის ორგანიზებისთვის დამატებით დანიშნოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

მუხლი 11. შიდა ტესტირება

1. კოლეჯის შიდა ტესტირებაში მონაწილეობენ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტები, რომელზეც კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შერჩევის ფორმად კონკრეტული მიღებისთვის განსაზღვრა შიდა ტესტირება.

2. ტესტირების ფარგლებში ჩასაბარებელი საგნის/საგანთა ჯგუფი, ყოველ კონკრეტულ მიღებისთვის განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით (სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროს შესაბამისად).

3. თითოეული პროგრამისთვის, ყოველი კონკრეტული მიღებისთვის კოლეჯის მიერ შემუშავებულიტესტი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნას ტესტის მონაცემთა ბაზის დაცვა.

5. ტესტირება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ელექტრონული/კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, ასევე არაელექტრონული ფორმით კოლეჯში.

6. ტესტირების ჩატარების ფორმა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კოლეჯის საგამოცდო კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე.

მუხლი 12. შიდა ტესტირების საგამოცდო კომისიის ფორმირება

1. შიდა ტესტირების საგამოცდო კომისია მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.

2. საგამოცდო კომისია განისაზღვრება მინიმუმ სამი წევრით, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები.

3. საგამოცდო კომისიაში შედის კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგის სპეციალისტები (პროგრამის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული მასწავლებელი) და კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

4. კომისიის წევრი ვალდებულია ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში გააკეთოს განცხადება თვითაცილების შესახებ.

მუხლი 13. ტესტირების შეფასების მეთოდები და ეტაპები

1. ტესტირებისთვის განკუთვნილი საკითხების შემუშავება ხდება საგამოცდო კომისიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით და მათი რაოდენობა განისაზღვრება საკითხის სირთულიდან გამომდინარე.

2. შეფასება არის დიფერენცირებული და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

3. ტესტირებას ესწრება ერთი ან ორი დამკვირვებელი და მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. ტესტირება, რომელიც ტარდება არაელექტრონული ფორმით, საგამოცდო კომისიის წევრები დამოუკიდებლად აფასებენ აპლიკანტის ნამუშევარს და წერენ შეფასებას/ქულას.

5. ტესტირების საბოლოო შედეგები აისახება შესაბამის საგამოცდო კომისიის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

6. ტესტების შეფასებისათვის, საგამოცდო კომისიის წევრები იყენებენ სწორი პასუხების ფურცელს, რომელიც ინახება საგამოცდო/ტესტირების დოკუმენტაციასთან ერთად.

7. საგამოცდო კომისიის წევრი ამოწმებს შევსებულ ტესტს და სპეციალურ ფორმაში აღნიშნავს:

ა) აპლიკანტის გვარს, სახელს;

ბ) აპლიკანტის პირადი ნომერს;

გ) შეკითხვების საერთო რაოდენობას;

დ) სწორი პასუხების საერთო რაოდენობას; ე) მიღებულ შეფასებას.

8. ტესტირება, რომელიც ტარდება ელექტრონული/კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, მიღებულ შედეგებზე ინფორმაცია აპლიკანტს მიეწოდება ტესტირების დასრულებისთანავე.

9. აპლიკანტს არაელექტრონული ფორმით ჩატარებული ტესტირების შედეგები ეცნობება 3 (სამი)დღის ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში მითითებულ მობილურის ნომერზე ან ელექტრონულ ფოსტაზე.

10.კოლეჯი ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

11.პროფესიული განათლების მართვის სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს:

ა) კოლეჯისათვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით;

ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

12.შიდა შერჩევის ადმინისტრატორი ინახავს ტესტირების დოკუმენტებს ჩარიცხვის პროცესის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

მუხლი 14. შიდა ტესტირების წარმართვა

1. ტესტირების მიმდინარეობისას დამკვირვებელს უფლება არ აქვს დატოვოს საგამოცდო ოთახი. იგი აკვირდება გამოცდის მიმდინარეობის პროცესს.

2. ტესტირების მიმდინარეობისას საგამოცდო ოთახში დაიშვებიან:

ა) აპლიკანტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ტესტირებაზე;

ბ) დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი/პირები;

გ) გარე პირები - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები.

3. აპლიკანტმა ტესტირებაზე დასაშვებად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. შიდა შერჩევის ადმინისტრატორი ახდენს აპლიკანტის იდენტიფიცირებას.

5. აპლიკანტი, რომლის ვინაობაც ვერ დადასტურდება, ტესტირებაზე არ დაიშვება.

მუხლი 15. აპლიკანტისთვის განმეორებით შეფასების უზრუნველყოფა და პირობები

1. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ განმეორებით გავიდეს შეფასებაზე (გასაუბრებაზე, ტესტირებაზე), რისთვისაც ის დასაბუთებული განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს შეფასების ჩატარების დღიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

2. განმეორებითი შეფასების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, წინსწრებით, კოლეჯის მიერ დადგენილი სააპელაციო წარმოების ვადების და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დადგენილი შერჩევის ვადების ამოწურვამდე.3. განმეორებითი შეფასების თარიღი აპლიკანტს ეცნობება განმეორებითი შეფასების ჩატარებამდე 2 დღით ადრე, სატელეფონო ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

4. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება:

ა) მოტივაციური გასაუბრების დროს არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში;

ბ) ტესტირება, რომელიც ტარდება ელექტრონული/კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით, მიღებულ შედეგებზე ინფორმაცია აპლიკანტს მიეწოდება ტესტირების დასრულებისთანავე;

გ) არაელექტრონული ფორმით ჩატარებული ტესტირების შედეგები ეცნობება 3 (სამი) დღის ვადაში.

შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება სარეგისტრაციო სისტემაში მითითებულ მობილურის ნომერზე ან ელექტრონულ ფოსტაზე.

4.1. აპლიკანტისთვის, ინფორმაცია რეიტინგში მისი ადგილის შესახებ ცნობილი ხდება ამ წესის 1-ლი მუხლის მე-8 პუნქტის ვადების დაცვით.

5. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს.

მუხლი 16. აპელაცია

1. თუ აპლიკანტი არ ეთანხმება შიდა შეფასების შედეგს, იგი უფლებამოსილია ისარგებლოს აპელაციის უფლებით.

2. აპლიკანტს უფლება აქვს, შედეგის გაცნობიდან 3 (სამი) სამუშაო დღეში დასაბუთებული განცხადებით გაასაჩივროს შიდა შეფასების შედეგი (მიღებული შეფასება) ან/და პროცედურული საკითხები.

3. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით, შიდა შერჩევის საჩივრის განხილვის მიზნით იქმნება სააპელაციო კომისია მინიმუმ 3 (სამი) წევრის შემადგენლობით.

4. სააპელაციო კომისიაში შედის კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, დარგის სპეციალისტი/პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

5. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.

6. აპელაციის განხილვის თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი შერჩევის ვადების ამოწურვამდე, წინსწრებით.

7. აპელაციის განხილვის თარიღი აპლიკანტს ეცნობება წინა დღეს სატელეფონო ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

8. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს და უფლება აქვს:

ა) ტესტირებისას და გასაუბრებით შერჩევის დროს მიღებული შეფასების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში ხელახლა შეაფასოს აპლიკანტი;

ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას აპლიკანტის მიერ მიღებული შეფასება შეცვალოს.

9. საკითხის მოკვლევისას შესაძლოა სააპელაციო კომისიამ განახორციელოს აპლიკანტთან ან/და შიდა შერჩევაში მონაწილე წევრებთან გასაუბრება.

10.სააპელაციო კომისიის მიერ შედგება დასკვნა ოქმის სახით, რომელიც წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

11.სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

12.ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს აპლიკანტი არ განიხილება.

13.სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 17. კოლეჯში ჩარიცხვა

1. კოლეჯი ვალდებულია, აპლიკანტები ჩარიცხოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

2. ჩარიცხვისას, აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას (პროგრამაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით).

3. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ამ წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს კარგავს ჩარიცხვის უფლებას.

4. იმ შემთხვევაში, თუ რეიტინგული სიის შედგენისას აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

5. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

6. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით - ბრძანებით განსაზღვრავს:

ა) პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად

წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს; ბ) დოკუმენტების წარდგენის ფორმას;

გ) დოკუმენტების წარდგენის ვადებს;

დ) ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლებს;

ე) ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და ვადებს; ვ) სხვა საკითხებს, კოლეჯის გადაწყვეტილებით.

7. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უნდა აირჩიოს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან მხოლოდ ერთ-ერთი, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში ჩარიცხვისათვის წარადგინოს კოლეჯის მიერ შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული დოკუმენტები.

8. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:

ა) კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში, როდესაც აპლიკანტმა კოლეჯის მიერ დადგენილი წესითა და ვადაში, განცხადებით არ გამოხატა წერილობითი ნება კოლეჯში ჩარიცხვის შესახებ;

ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;

9. (ამოღებულია).

10.თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

11. თუ ამ მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.

12.კოლეჯი ვალდებულია ამ წესის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად (როდესაც აპლიკანტის შერჩევა განხორციელდა ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე) ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით.

13.ამ მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით:

13.1. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი,

13.2.ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი

განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კანონმდებლობითა და კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა მობილობით;

გ) ისარგებლოს გარე მობილობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

დ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

14.კოლეჯი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

15. აპლიკანტის კოლეჯში ჩარიცხვაზე უარის საფუძველს წარმოადგენდეს ამ წესის 21-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა (დადგენილ ვადაში დოკუმენტების არ წარდგენა).

16.საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ დადგენილ ვადებში, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესისა და ამ მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი აპლიკანტთა პროფესიული სტუდენტის სტატუსით პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, ამასთანავე ფორმდება ხელშეკრულება აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი18. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები კოლეჯში ირიცხებიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში, გამონაკლისს წარმოადგენს რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებული პროგრამები, რომლის დროსაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი გადის ამ წესისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შერჩევას.

2. ამ მუხლის პუნქტის მიხედვით შერჩევასთან დაკავშირებულ საკითხებზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.

3. პირს, რომელსაც ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია. აღნიშნული უნდაგანხორციელდეს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

4. კოლეჯი განიხილავს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების

სპეციალისტის/სპეციალისტების მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

5. პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შერჩევა წარიმართება პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთგარკვევას, ისევე როგორცპრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების

6. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, რომელმაც გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აირჩია, რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და კოლეჯში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.

7. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.კოლეჯს უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით კოლეჯის დირექტორი გამოიცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტს, სადაც განსაზღვრება პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და მათი წარდგენის ვადები.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დადგენილი წესით დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, მინისტრის მიერ დადგენილ ვადაში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ირიცხება შესაბამის პროგრამაზე, ამასთანავე ფორმდება ხელშეკრულება აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან. მონაცემები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ხდება აპლიკანტის ინფორმირება სატელეფონო ან/და ელეტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 19. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ: ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;

ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 20[13] მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი

განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით

დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე/დამატებითი დაცვის მქონე პირებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტით.

3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული აპლიკანტების შესახებ ინფორმაციას კოლეჯი ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ შერჩევის პერიოდში.

5. ამ წესისა და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობების მიხედვით, შერჩეული აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ. ინფორმაცია აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20. (ამოღებულია).

მუხლი 21. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს:

ა) საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელმაც დაძლია სულ მცირე საბაზო ზოგადი განათლების პროგრამა.

ბ) სრული ზოგადი განათლების პროგრამა, დაიშვება საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

გ) უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელმაც დაძლია სრული ზოგადი განათლების პროგრამა.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება დოკუმენტების განხილვისა და მასზე დაშვების წინაპირობებთან პირის შესაბამისობის განსაზღვრის საფუძველზე.

3. კოლეჯის მიერ დადგენილი განაცხადის შევსებულ ფორმას (რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე, თან უნდა ერთვოდეს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დედანთან ერთად (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედანი დაუბრუნდება აპლიკანტს);

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დედანთან ერთად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესაბამისად (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედანი დაუბრუნდება აპლიკანტს);

გ) უცხოეთში ან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში

- განათლების აღიარების დოკუმენტი;

დ) ორი ფოტოსურათი 3x4;

ე) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - აპლიკანტის დაბადების მოწმობის ასლი, დედანთან ერთად, კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დედანთან ერთად და მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედნები დაუბრუნდება მფლობელს);

ვ)სსსმ აპლიკანტის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, დედანთან ერთად და მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი დედანთან ერთად (საბუთების მიღების დასრულებისთანავე დედნები დაუბრუნდება მფლობელს).

ზ) 17 წელს მიღწეული, სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირი წარადგენს: წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტს (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება).

4. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

5. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯში სწავლის უფლების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტებზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს.

6. როფესიული სტუდენტის სტატუსი პირს ენიჭება კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის დღიდან. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მონაცემები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

7. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი და სრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი, არასრულწლოვანის ან შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში, მისი კანონიერი წარმომადგენელი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულება ძალაში შედის პროფესიულ სტუდენტის სტატუსის მინიჭების თაობაზე კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემის დღიდან.

9. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარიგადაეცემა პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

10. აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენლი ვალდებულია, განცხადება შპს საზოგადოებრივ კოლეჯში პროფესიულ სტუდენტად შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ, ასევე სხვა დოკუმენტები წარდგენოს:არაუგვიანეს პროფესიული სტუდენტის სტატუსით კოლეჯში ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე.

11. აპლიკანტის მიერ არასრულად, არა სათანადო წესით, ვადების დარღვევით წარდგენილი განცხადება, დოკუმენტები ან/და ხელშეკრულების არ გაფორმება კოლეჯთან, წარმოადგენს კოლეჯის მხრიდან აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის ან/და პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს.

12. ჩარიცხული პირი, ვალდებულია პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში კოლეჯს წარუდგინოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი- საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მასთან გათანაბრებული დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც აღნიშნულ

პირს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საბაზო ზოგადი განათლების/სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე გადაეცა.

მუხლი 21[1].გარდამავალი დებულებები - 2026 წელს პროფესიულ სტუდენტთა მიღება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე.

1. 2026 წელს კოლეჯი უფლებამოსილია, უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მიღება განახორციელოს აგრეთვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომ – ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება) შესაბამისად,

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, აბიტურიენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე და რეგისტრაციისას აირჩევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღების გამოცხადების მიზნით:

ა) კოლეჯი უფლებამოსილია 2026 წლის 5 მარტიდან 2026 წლის 10 მარტის ჩათვლით ელექტრონულად შეავსოს ანკეტა-კითხვარი მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად;

ბ) მართვის სისტემა ამუშავებს ანკეტა-კითხვარში ასახულ მონაცემებს ელექტრონულად და არაუგვიანეს 2026 წლის 17 მარტისა ელექტრონული ფორმით აწვდის ცენტრს;

გ) ცენტრი მიღებულ ინფორმაციას 10 სამუშაო დღის ვადაში ასახავს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით მიღების გამოცხადების მიზნით მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშებას კოლეჯი განახორციელებს შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე 2026 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება 2026 წლის 10 მარტის მდგომარეობით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელი საგანი/საგნები, შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით, მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც ანკეტა-კითხვარში შევსებულ ინფორმაციასთან ერთად აისახება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებულ სპეციალურ ელექტრონულ ბაზაში.

6. თუ აბიტურიენტს ჩაბარებული აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამისთვის ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ორი ან რამდენიმე საგნის გამოცდა, შესაბამის პროგრამაზე მისი ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტისთვის რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალიწინებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც, თუ აბიტურიენტს ჩაბარებული აქვს კონკრეტული აკადემიური პროგრამისთვის დაწესებული ორი ან რამდენიმე დამატებითი საგნის გამოცდა, შესაბამის აკადემიურ პროგრამაზე მისი ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტისთვის კოეფიციენტებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება

აბიტურიენტის მიერ დამატებითი საგნის გამოცდებში მიღებული უმაღლესი სკალირებული ქულა. თუ ამ ქულით აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება, კოეფიციენტებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება აბიტურიენტის მიერ სხვა დამატებითი საგნის გამოცდაში/გამოცდებში მიღებული შემდგომი უმაღლესი სკალირებული ქულა. თუ ამ დამატებითი საგნის გამოცდებში მიღებული უმაღლესი სკალირებული ქულები იდენტურია, კოეფიციენტებით რანჟირების დროს პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება იმ საგნის გამოცდის უმაღლესი სკალირებული ქულა, რომლისთვისაც დადგენილია მისაღები ადგილების მეტი რაოდენობა, ხოლო შემდგომ იმ საგნის გამოცდის უმაღლესი სკალირებული ქულა, რომლისთვისაც დადგენილია მისაღები ადგილების ნაკლები რაოდენობა. იდენტური ადგილების რაოდენობის შემთხვევაში, კოეფიციენტებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება დამატებითი საგნის გამოცდის უმაღლესი სკალირებული ქულა დებულების მე-6 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი საგნების ჩამონათვალის შესაბამისად. .

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ საგანში აბიტურიენტის მიერ გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით შესაბამისი საგნისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნახევარზე მეტს.

8. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია რამდენიმე ჩასაბარებელი საგანი, დაწესებულების მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ნაწილდება ჩასაბარებელი საგნების რაოდენობის პროპორციულად. პროპორციული განაწილების ზუსტად განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საგანთა ჩამონათვალში მითითებულ პირველ საგანს.

9. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებული საგნობრივი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ არაუგვიანეს 10 დღისა ცენტრი შეიმუშავებს და ამტკიცებს რანჟირების დოკუმენტს თითოეული აბიტურიენტისათვის იმ დაწესებულებისა და ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის მითითებით, რომელზე სწავლის უფლებაც მან მოიპოვა. რანჟირების დოკუმენტის შედგენა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად.

10. ცენტრი უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის მიწოდებას მართვის სისტემისათვის და კოლეჯისთვის.

11. მართვის სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულებისთვის რანჟირების დოკუმენტის ხელმისაწვდომობას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის მიხედვით.

12. ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ აბიტურიენტი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის კოლეჯში წარადგენს, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში დაწესებულების მიერ ამ წესის მე-17 და 21-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით შესაბამის დოკუმენტებს.

13. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში კოლეჯი ვალდებულია აბიტურიენტი ჩარიცხოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული რანჟირების შესაბამისად, აბიტურიენტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.

14. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიღების ფარგლებში ჩარიცხული პირებისთვის პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლის დაწყების თარიღად განისაზღვრება არაუგვიანეს 2026 წლის პირველი ოქტომბრისა.

15.სწავლის დაწყების ზუსტი თარიღი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით -ბრძანებით.

17. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი, აბიტურიენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში მიღებული შეფასების საფუძველზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას გამოიყენება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებული ნორმები.

18. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა ამავე პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად

მუხლი 22. დასკვნითი დებულებები

1. კოლეჯში, აპლიკანტებისა და შერჩევის ადმინისტრირებაში მონაწილე პირების (შიდა შერჩევის კომისიის წევრების, შიდა შერჩევის ადმინისტრატორის, ინფორმაციული ტეგნოლოგიების სპეციალსტი და სხვა) პერსონალური მონაცემების გამოყენება/დამუშავება ხდება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად.

2. წინამდებარე წესი მოქმედებს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების” შესახებ 2021 წლის 2 ივლისის N42/ნ ბრძანებასთან ერთად.

3. საკითხების რომელიც არ არის დარეგულირებული ამ წესში, რეგულირდება: ა) „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით;

ბ),,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით;

გ),,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვალისის №19/ნ ბრძანებით ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“,

დ) სხვა შინაარსობრივად დაკავშირებული ნორმატიული აქტებით.

4. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ადმინისტრაციულ საბჭოზე განხილვისა და დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.